სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 5 22 0000950499

26/08/2022

ბაკალავრიატისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის ვადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბაკალავრიატისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონულად 2022 წლის 5 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით (რეგისტრაცია საიტზე - register.gtu.ge; რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია (იხ. დანართი 1); საკონტაქტო პირები (იხ. დანართი 2));
2. დაევალოს ფაკულტეტს უზრუნველყოს საიტზე ატვირთული ინფორმაციის შემოწმება;
3. ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსს თ. წერეთელს;
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
5. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

7. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64);

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან